



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011705902713820

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

497132

10 / დეკემბერი / 2020 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი
საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს

წლიური ანგარიში

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ

2020 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსული განცხადებებისა და მათზე რეაგირების, ასევე, დაცული პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ ანგარიშს:

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოვიდა 52 განცხადება, მათ შორის, ელექტრონული ფორმით შემოსული განცხადებების რაოდენობამ შეადგინა 21 ერთეული. სააგენტოში საჯარო ინფორმაციის შესახებ მოთხოვნის ელექტრონული ფორმით წარმოდგენა უზრუნველყოფილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის – MY.GOV.GE-ის მეშვეობით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს № 219 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, აგრეთვე, სააგენტოს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 25 მაისის № 544 და 2020 წლის 15 ივლისის № 580 ბრძანებების შესაბამისად.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნის რაოდენობას, 2019 წლის 10 დეკემბრიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე მსგავსი მოთხოვნით არც ერთი განცხადება არ შემოსულა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შემოსული 52 განცხადებიდან

- 26 შემთხვევაში ინფორმაცია სრულად გაიცა;
- 1 შემთხვევაში მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
- 25 განცხადებაზე ინფორმაციის მოძიება/დამუშავება მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში შემოსული თითქმის ყველა განცხადება საჯარო ინფორმაციის ერთზე მეტ, ხშირ შემთხვევაში კი – მრავალ მოთხოვნას შეიცავდა.

საანგარიშო პერიოდში სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირები იყვნენ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო სამსახურის უფროსი ელისო გელაშვილი, მეწარმეთა და იურიდიულ პირთა რეგისტრაციის

დეპარტამენტის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების რეგისტრაციის სამსახურის უფროსი მანანა ცინაძე და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი დავით დევიძე, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საინფორმაციო სამსახურის უფროსის ელისო გელაშვილის მიერ.

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახდენს პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, შენახვასა და გადაცემას შემდეგი პროგრამული (ელექტრონული) ბაზების მეშვეობით: უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრი, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი, საგადასახადო გირავნობის/ იპოთეკის რეესტრი, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრი, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრი, სამისამართო რეესტრი, საარქივო დოკუმენტაციის დამუშავების შედეგად შექმნილი მონაცემთა ბაზა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს).

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, შენახვასა და გადაცემას ახდენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით. სააგენტოში დაცულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს პერსონალურ მონაცემებზე არაუფლებამოსილ პირთა წვდომას.

საანგარიშო პერიოდში შემოსულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით, თანამშრომლების მხრიდან არ გამოვლენილა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების არც ერთი ფაქტი.

სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა შემდეგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულება.


საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებას:

განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია მიეკუთვნებოდა სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს, ამასთანავე, აღნიშნული მონაცემების დამუშავებისათვის არ დადასტურდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების საფუძვლების არსებობა (1 შემთხვევა).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე შემოსულ 1 განცხადებასთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილია ადმინისტრაციული საჩივარი, რომელზეც მიმდინარეობს წარმოება. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე შემოსულ განცხადებებთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელი წარდგენილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან მიმართებით სააგენტოს მიერ ინფორმაციის დამუშავების/ გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯები არ წარმოშობილა და სააგენტოს მხარის სასარგებლოდ თანხის გადახდა არ დაკისრებია.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე



ნათია ჩირიკაშვილი